საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/215

ქ. ბათუმი 20 მაისი 2021 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის HONDA LEGEND (სახელმწიფო ნომერი XX 278 XY) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სარგებლობაში გადაცემის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, 2021 წლის 17 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან შემოვიდა N1938/02 კორესპონდენცია, რომლითაც მოთხოვნილ იქნა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანის HONDA LEGEND (სახელმწიფო ნომერი XX 278 XY; საიდენტიფიკაციო ნომერი JHMKB26609C200951; ძრავა 3700; გამოშვების წელი - 2009), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სარგებლობაში გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 28 დეკემბრის N63 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის" მე-4 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის 2021 წლის 17 მაისის N1938/02 კორესპონდენციის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანა HONDA LEGEND (სახელმწიფო ნომერი XX278XY; საიდენტიფიკაციო ნომერი JHMKB26609C200951; ძრავა 3700; გამოშვების წელი - 2009), რომლის საწყისი საბალანსო ღირებულებაა 93 957 (ოთხმოცდაცამეტი ათას ცხრაას

ორმოცდაჩვიდმეტი) ლარი (ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 ლარი), არსებობის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობაში გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს.

2. სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირმა, რამაზ დიასამიძემ, უზრუნველყოს ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის თაობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტს დაევალოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს მინისტრის პირველ მოადგილეს, ჯემალ სურმანიძეს.

5. საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ უზრუნველყოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. N9), ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი

მინისტრი